ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3169337

ნომერი: AR1488110

თარიღი : 21.03.2017

გაცემის თარიღი : 27.03.2017

გაცნობის თარიღი : 30.03.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ როინიშვილი პ/ნ 01009014164
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 35 ბ. 48

ორგანიზაცია:

- შპს GREEN LINE COMPANY კოდი: 404385768

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2604696
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.05.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 17/01/2017წ. #ბ-398133/07 ბრძანების შესაბამისად, ,,ა-კ" ფასადზე ,,დ-ე" მონაკეთში მოწყობილია ამწე. შემცირებულია ლიფტის კარის სიგანე. ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები, სატელიტური ანტენები და გამწოვი მილები.
 აღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.
საკითხის ხელახლა განსახილველად საჭიროა მოხდეს ამწეს დემონტაჟი, ლიფტის კარის გაბარიტები დაიტანეთ ანაზომზე, ასევე შემცირებული პანდუსის გაბარიტული ზომები დაიტანეთ ანაზომზე, ქუჩის მხარეს გამავალ ფასადზე კონდენციონერების ერთიან სისტემაში მოყვანა, აგრეთვე საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით და დოკუმენტაცია ატვირთოთ ახალი განაცხადით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.